# სახალხო გაზეთი

№ 216 ოთხშაბათი, 26 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 216

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხშვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი მეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“ ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხავაჭრო ხახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5—დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

22 იანვარს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფელ შუხუთში მღვდელი

**ბესარიონ იმნაიშვილი,**

რასაც გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს მეუღლე მისი **ბაბილინა**; შვილები; **ეპიფანე**, **გერმანე**, **ალექსანდრე**, **ნიკიფორე**, **მოსე და დები**. პანაშვიდები ყოველ დღე. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 27 იანვარს, ს. შუხუთში, ღვთისმშობლის საყდრის გალავანში. (3—417—2)

მარტა კირილეს ასული, ივანე ნესტორის ძე **ლორთქიფანიძეები და იუდიტა ნიქოგასისა**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 16 იანვარს, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პირველის—საყვარელი მეუღლე, მეორესი—დაუვიწყარი მამა, მესამესი—ძვირფასი მამიდაშვილი

**ნესტორ გლახუას ძე ლორთქიფანიძე.**

დასაფლავება მოხდება შაბათს, 29 იანვარს, დღის 12 საათზე, ვაკის სასაფლაოზე. (2—421—1)

ღრმად დამწუხრებულნი **იუსტინე ბეჟანის ძე**, ქვრივი **მალაქია თალაკვაძე**, და შვილები მისი **დეკანოზი ნიკიტა მეუღლით ალექსანდრა ზაქარიას ასულით, პოლიკარპე, სტეფან**, მეუღლე მისი **ეფემია ლეონტის ასული, კასიანე, პასიკო და ვალენტინა მალაქიას ძენი და ასულნი**, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 25 იანვარს, ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პირველის—ძვირფასი შვილი, ხოლო უკანასკნელთა—დაუვიწყარი ძმა და მაზლი, ბაქოს საშუალო ტეხნოლოგიურ სასწავლებლის მოწაფე

**ლაზარე მალაქიას ძე თალაქვაძე.**

პანაშვიდები დანიშნულია დიდუბის ეკლესიის ეზოში, წინამძღვრის ბინაზე, 26 იანვარს, დღის 12 საათზე, საღამოთი—ხუთზე, გამოსვენება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—423—1)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 51 (9)

ხუთშაბათს, 27 იანვარს, 1911 წ.

◀ ელისაბედ ა. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ ▶

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა ეკ. გაბაშვილისა

1) **„ნიღილისტკა“**

პიესა 4 მოქმედ.

2) **ქქიმთან,**

ვოდ. 1 მოქ. ი. გომართლისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ვიქტორელი, კარგარეთელი, ლექაგა, ლოლუა, ნებიერიძე, პიერრეტა, წოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი აბაშიძე, არადელი, გუნია, გვარამე, ჟივიძე, ზარდალიშვილი, ქიქივაძე, მაკარაძე, შვანგბლიშვილი, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

ადმინისტ. ქართ. დრამ. საზოგ.-სისა. რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

შემდეგი ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა, წარმოდგენილი იქნება „ვასილისა მელენტიევნა“. (3—2)

**დ ღ ე ს**

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში

● **ბენეფისი სოსო ივანიძის** ●

წარმოდგენილი იქნება

**„პატარა კახი“.**

ბილეთები იყიდება. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. (1—420—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 27 იანვარს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება.

**დღენი ჩვენი ცხოვრებისა,**

პიესა 4 მოქ., ანდრეევისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ბაზუტიძე, თ. გოგოლაშვილი, გოგოლაშვილი, კავთელი, კიკნაძე, ციმაკურიძე; ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, არადელი, ინაშვილი, თაზიშვილი, მეტრეველი, ხელიქიშვილი, ნარი, ჭიაურელი. ჭელიძე, შანშიაშვილი, ზაზანაშვილი.

მოწაფეებს არ შეუშვებენ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრატორი ი. ქიაბერაშვილი. რეჟისორი ნ. გოცირიძე.

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის**

**საზოგადოების საბჭო**

აცხადებს, რომ 1911 წლის განმავლობაში გამოსცემს იგი რამდენსამე **კრებულს მხატვრულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ შინაარსისას.** პირველ კრებულისთვის მასალა 15 თებერვლამდე მიიღება. კრებული სივრცით 300—500 გვერდამდე იქნება. საზოგადოების წევრთათვის და „სახალხო გაზეთი“-ს გამომცემელთან შეთანხმებით, ამ გაზეთის ხელის-მომწერთათვის ეღირება 50 კაპ.; სხვებისათვის კრებული ეღირება არა ნაკლებ 1 მანეთისა. კრებულის გამოცემის თაობაზე მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მოსალაპარაკებლად სიტყვა-კაზმულ მწერლობის საბჭოს თავმჯდომარეს **გ. ს. რცხილაძეს** (იზმაილოვის ქუჩა, № 2). (10—8)

ტფილისის ქალაქის

**გამგეობისაგან**

ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარისათვის საჭიროა ბინა (20 დიდი ოთახი მაინც უნდა იყოს, სხვა საჭირო ოთახების გარდა. სახლს, ეზოს გარდა, ბაღი (ან დიდი ეზო) უნდა ჰქონდეს სასეირნოდ. ცნობებისათვის თავშესაფარის მეთვალყურეს უნდა მიმართონ შუადღის 12 ს.-მდე. კოჯრის ქუჩა, № 15. (1—422—1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღით და ღამით. სიარულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11- 12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

**ხოშთლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—5.—379)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 696.

გ. **გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. **მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. **დაასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა **პოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოლოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$ - $12^1/_2$ საათ.

ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს., შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ. 5.—542)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულებების

**საავადმყოფო**

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

**ივ. ზოკერიასი**

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—26)

**ექიმი** ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, საზ. თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188 — 70

ელექტრონისა და რენტგენის

**სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირაობით მხოლოდ საღამოს 6—7 საათამდე დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ქუჩა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—34)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

**ექიმი** ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. კირალოვის სახლი, (50—15—13

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ყოლოდინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** გ. ს. **მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** რ. დ. **მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—74

**ექიმი** ე. **ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—303

**ექიმი** შ. ა. **მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ა. ნ. **დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ა)

ვ. გუნიას დრამა

**სამეგრელოს მთავარი**

**ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.


## ტფილისი, 26 იანვარი

**კანონ-პროექტი მაგარ სასმელების შესახებ.** სადღესასწაულოდ შეწყვეტილი სხდომები სახელმწიფო სათათბიროსი კვლავ განახლდა. კვლავ შეუდგნენ ხალხის წარმომადგენლები მრავალ საჭირბოროტო კითხვების განხილვა-დაკანონებას. 21 იანვრის სხდომაზედ სათათბირომ განაგრძო კამათი იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც ეხება მაგარ სასმელების გაყიდვის სააქციზო წესდების ზოგიერთ მუხლებს. წარსულ წლის დეკემბრის უკანასკნელ სხდომაზედ ამორჩეულმა საგანგებო კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშავებია ყველა პრინციპიალური საკითხი ლოთობის წინააღმდეგ საშუალების გამოსაძებნელად, ეხლა ვრცელი და ამასთანავე მართლაც საგულისხმო მოხსენება წარუდგინა სათათბიროს. ამ მოხსენებაში ნათლად არის აღნიშნული ის უტყუარი სინამდვილე, რომელიც გვიმტკიცებს, თუ რა გავლენა აქვს ალკოჰოლს, როგორც ხალხის ფიზიკურ ჯანმრთელობაზედ, ისე მის სულიერსა და ზნეობრივ ცხოვრებაზე. მართლაც, რამდენი ჯან-საღი ადამიანი დაჰმონებია ამ გამათახსირებელ და უზნეო ჩვეულებას. რამდენი ნიჭი, ხშირად გაუფურჩქვნელი და განუვითარებელი, ჩამჭკნარა და ჩაღუპულა, რომელიმე სარდაფის პატარა კუთხეში, რამდენი შემოქმედება და ცოდნა დარჩენილა უსარგებლო და ხელუხლებელ განძად ადამიანის გონებაში და ამ მწარე სინამდვილეს იცნობს ადამიანი თითქმის ქვეყნის დასაბამიდან: იცის თუ რა გავლენა აქვს ლოთობას, როგორც მის სულიერ ცხოვრებაზედ, ისე მის მატერიალურ კეთილდღეობაზედ, იცის, რომ ეს არის ავადმყოფობა, რომელსაც გავლენა აქვს მის შთამომავლობაზედ და არა მარტო შთამომავლობაზედ, არამედ საერთოდ მთელს კაცობრიობაზედაც კი. კარგად იცის ისიც, რომ ამ უზნეო ჩვეულების მოსპობა დამყარებულია მხოლოდ მასზედ, რადგან იგი არ არის ბუნებისაგან გამოწვეულ და წარმოშობილ მიზეზთა შედეგი. ეს არის მხოლოდ თვით ადამიანის ხელთთვე შექმნილი უფსკრული, რომელშიაც იგი თავის ნებით და სურვილით იხრჩობს თავს. ამიტომ ამ ავადმყოფობის მოსპობა დამყარებულია თვით ადამიანზედ, უკეთ რომ ვსთქვათ, საზოგადოების უფრო შეგნებულ ნაწილზედ, რომლის მოვალეობად უნდა ჩაითვალოს ამ სენის წინააღმდეგ ენერგიული გამკლავება! მაგრამ ამ ნიადაგზედ ფართო მუშაობა რუსეთში ჯერ-ჯერობით მოუხერხებელია. მოუხერხებელია მრავალ მიზეზთა ზედგავლენით.

მაგრამ მაინც სადღეისო შრომის ერთ უმთავრეს ნაწილს უნდა შეადგენდეს ხალხის ჯანმრთელობაზედ ზრუნვა და, პირველ ყოვლისა, ლოთობის წინააღმდეგ ენერგიული მუშაობა. წელიწადში ერთხელ გამართული კონგრესი ვერ შეამცირებს და ვერ მოსპობს ლოთობას თუ თვითოეული პიროვნება არ არის გამსჭვალული იმ აზრით, რომ ეს მუშაობა არის სავალდებულო და აუცილებელი. ჩვენი ცხოვრების სინამდვილე კი სულ სხვა სურათს გვიშლის თვალწინ: საზოგადოებრივ ჯგუფის რომელიმე წევრი, ხშირად დამცველი დაჩაგრულ ხალხთა ინტერესებისა, იშვიათად ამჩნევს და ფიქრობს იმ ბედშავ ავადმყოფზედ, რომელიც ყინვაში და თოვლ-ჭყაპში სადმე კედლის ძირას კუთხეში მიგდებულა. და ეს ავადმყოფი, რომელსაც **ჩვენ ლოთს ვუწოდებთ** იქნება გადარჩენოდა ამ სენს, რომ ამგვარ გამვლელს ხელი მიეცა და ეზრუნა მისთვის.

ფრიად საყურადღებოა ეს საკითხი, მაგრამ მისი გადაწყვეტა ცხოვრების დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელია. აქტიური გამოსვლა სახელმწიფო სათათბიროსი და ენერგიული ზომების მიღება შესამჩნევ ზიანს მიაყენებდა სახელმწიფოს ბიუჯეტს, რომლის საკმაოდ დიდს ნაწილს არყის მონოპოლიით მოგებული ფული შეადგენს. ერთის მხრივ პრინციპი ხალხის ჯანმრთელობისა, მეორის მხრით კი სარგებლობა ხაზინისა,—აი, დილემა, რომლის გადაწყვეტაც ყოვლად შეუძლებელია ცხოვრების დღევანდელს პირობებში. მთავრობა თავის დღეში ვერ დაეხმარება სათათბიროს ლოთობასთან ბრძოლაში, რადგანაც ეს დიდს თანხას ხელიდან გამოაცლის. ლოიალური სათათბიროც იძულებული გახდება ნახევარ—ზომებზე შეჩერდეს, პალიატიური საშუალებანი შეიმუშაოს და ამით უფრო შორეულ დროისთვის გადასდოს აქტიური ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ. პალიატიური ზომები კი ვერ გამკურნავენ იმ სენს, რომელსაც ლოთობას ვუწოდებთ და რომელსაც ღრმათ აქვს ფესვები გამჯდარი რუსის ხალხში.

---

**წვრილ კრედიტის მომხმარეთა კრების გამო.** როგორც მკითხველს ეცოდინება, თებერვლის 23-დან უნდა დაიწყოს ამიერ კავკასიის წვრილი კრედიტის წარმომადგენელთა კრება. პროგრამა მომავალ კრებისა უკვე დაიბეჭდა ადგილობრივ გაზეთებში; კრებაზედ დასწრება, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, შეეძლება თუ არა ყველა მსურველს, ყოველ შემთხვევაში მიწვეულ იქნება ფართე წრე ინტელიგენციისა. მნიშვნელობა ჩვენის ქვეყნისთვის კრებაზედ განსახილველ საკითხისა იმდენად დიდია, რომ მასზედ შეჩერება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. საკმარისია ცოტაოდენი რამ მაინც იცოდეს ადამიანმა ამის შესახებ, რომ ჩვენი ხალხის ნამდვილი გულ შემატკივარი დაინტერესდეს და კრებაზედ აღძრულ საკითხის გამორკვევას და მის ცხოვრებაში სარგებლით გატარებას შეძლების და გვარად რითმე ხელი შეუწყოს; მით უმეტეს, რომ მომ. კრების პროგრამმა ყველას საშუალებას აძლევს ფართოდ შეეხოს წამოყენებულ საკითხს.

როგორც მკითხველს მოეხსენება წვრილი კრედიტის კომიტეტი და მისი მოქმედება ტფილისის გუბერნიაში დაიწყო 4 წლის წინად; საქმეს აწარმოებდა მთელს გუბერნიაში მხოლოდ ერთი ინსპექტორი, რომელსაც დავალებული ჰქონდა როგორც ამ ახალი იდეის პროპაგანდა, ისე მისი ცხოვრებაში გატარება: სესხის გაცემა და ადგილობრივ დაწესებულებების კონტროლი. მიუხედავად ამისა, ამ ცოტა ხანში უკვე დაარსდა 17-დე ამხანაგობა. ახლო მომავალშიაც 40-დე დაარსდება. ეს გარემოება თავისთავად ცხადად ამტკიცებს, რამდენად მომწიფებულა წვრილი კრედიტის საჭიროება ჩვენში. განსაკუთრებით უფრო ცხადი შეიქნება იგი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წვრილი სესხი უკვე დიდი ხანია არსებობს რუსეთში, როცა ერობები დიდ დახმარებას უწევენ, მაგრამ შედარებით ბევრი არა გაკეთებულა რა.

ამის შემდეგ უნდა დარწმუნებული ვიყვეთ, რომ თუ ეს საქმე უკეთეს პირობებში იქნება ჩაყენებული, ეს ფრიად სასარგებლო მოვლენა ჩვენ დღევანდელ ცხოვრებაში დიდს განვი-

თარებას მოიპოვებს და დიდს სარგებლობასაც მოუტანს. უმთავრესი ნაკლი ეხლანდელ წვრილ კრედიტისა იმაში მდგომარეობს, რომ შედარებით დიდს (6) პროცენტს ახდევინებს სარგებლად. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მისი შემცირება. ყოველ შემთხვევაში უნდა დაიყვანონ ოთხს პროცენტამდე მაინც, რამდენსაც საგლეხო ბანკი ახდევინებს. საჭიროა აგრეთვე პროპაგანდის გაფართოვება. ამ შემთხვევაში დიდს სარგებლობას მოიტანს მოძრავი კათედრა, რომელიც აღნიშნულია პროგრამაში.

თვით პროგრამაში აღნიშნულია აგრეთვე საყურადღებო საკითხი. ეს გახლავთ კრედიტის საშუალებით სასოფლო საწარმოვო იარაღის ყიდვა და საერთოდ კოოპერატიულ დაწესებათა დახმარება. ეს პუნქტი, ჩვენის აზრით, დიდ მნიშვნელოვანია, რადგანაც კოოპერატიულ მოძრაობას ჩვენში დიდს შემწეობას გაუწევს და ამ მხრივ ბევრად ჩამორჩენილ ქვეყანას დიდს სარგებლობას მოუტანს. ჩვენ აქ შევეხებით დანარჩენ მუხლებს პროგრამისას, რაცვთქვით ისიც საკმაოა, რომ ჩვენი საზოგადოების დაინტერესებული ნაწილი შეემზადოს მომავალ კრებისთვის. განსაკუთრებით კი დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. წვრილ კრედიტის ადგილობრივმა ამხანაგობებმა, რომელნიც მომზადებული უნდა შეჰხვდნენ და უჩვენონ ის ნაკლი, რაც მათ მიერ არის შემჩნეული და შეიტანონ ის შესწორებანი კრედიტის ორგანიზაციაში, რომელთაც ადგილობრივი განსაკუთრებული პირობები იწვევს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

კანონ-პროექტი პეტერბურგის იძულებითი გაჯან-საღების შესახებ სათათბირომ სწორედ იმ რედაქციით მიიღო, როგორც ეს მთავრობასა სურდა. სამართლიანი და დასაბუთებული სიტყვები ოპოზიციის ორატორებისა დარჩნენ „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ კანონ-პროექტის ბედ-იღბალზე შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვასაც არ იმოქმედა. მინისტრმა თავისი ენა-წყლიანობით მოჰხიბლა ოქტომბრისტები, რომელნიც ისედაც მოხიბლულნი არიან მინისტერით. აი, სიტყვის შესახებ გაზეთი „რეჩი“ სწერს:

„მახლას, საკითხი ჩვენში ისევ იმ ნიადაგზე სდგას, რომელზედაც იდგა მაშინ, როდესაც იწერებოდა ბროშიურა: „თვით-მპყრობელობა და (—თუ) ერობა“. თუ სათათბიროში გამართულ კამათის დროს პეტერბურგის კანალიზაციის შესახებ დაავადებული სარჩული ამ კამათისა ცოტაოდენად დაიჩრდილა და კადეტთა პარტიის საკომპრომისო წინადადების მიღებაც კი ცენტრმა შესაძლებლად დაინახა, პ. ა. სტოლიპინის სიტყვამ კი სამოსელი ახადა საქმეს და აღმოაჩინა უკვე ყველასაგან მოძულებული სურათი „სახელმწიფოს“ პოლიტიკური ბრძოლა თვით მმართველობასთან. „სახელმწიფო“ იერიშის მიმტან მოპირდაპირედაა აღიარებული.

ასეთი დაპირისპირება „სახელმწიფოსი“. და თვით-მმართველობისა ჩვეულებრივი მოტივია სტოლიპინის სიტყვებისა. თუ სინდისის სიტყვის გარეგან მხარეს ყურადღებას არ მივაქცევთ, იგი ისეთივე ხასიათისაა, რანაირიც ძველი დროის ბიუროკრატებისა, რომელთა თვალშიაც თვით-მართველობა სახელმწიფოს საწინააღმდეგო დაწესებულებად ითვლებოდა. თუ სტოლიპინი დღეს იმასვე იმეორებს, მხოლოდ სხვა სიტყვებით, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ტრადიციები ძველის ბიუროკრატიისა ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა „კონსტიტუციონურ“ რუსეთის ბატონ-პატრონთა გულში.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**თ-დი გოლიცინსკი** თავმჯდომარეობს. მორიგ საკითხად საყოველთაო პირველ-დაწყებით სწავლის შემოღების კანონ-პროექტია.

**მომხსენებელი კოვალევსკი.** არსებითი საკითხი ამ საქმის ფინანსიურ კანონ-მდებლობისა იმ თანხის განსაზღვრაა, რაც საყოველთაო სწავლის განსახორციელებლად უნდა გადაიდოს, და აგრეთვე იმ ვადის აღნიშვნა, რის განმავლობაშიაც მიზნის მისაღწევად ზედ-მეტი ფული უნდა გადაიდოს. ეს თანხა 10 მილიონ მანეთს უდრის, ვადა 10 წელიწადია, 1912 წლიდან დაწყებული. სასკოლო ადგილების ამორჩევა ქალაქთა და ერობათა თვითმმართველობათ ევალებათ, ხოლო სადაც, არც ერთია და არც მეორე, იქ პირველ-დაწყებით სკოლათა დირექტორებსა და ინსპექტორებს ეკისრებათ. მომხსენებელი ასე ამთავრებს: 1612 წელს ჩვენ რუსეთის მოსისხლე მტრის წინააღმდეგ ავმხედრდით, 1812 წელს დიდებულ და ძლევა-მოსილ მეომრის წინააღმდეგ გავილაშქრეთ, 1912 წელს კი ჩვენ დაუძინებელ მტერის—უმეცრების—წინააღმდეგ გავილაშქრებით. დაე, ეს კეთილის მომასწავებელი იყოს .(ტაშის ცემა).

**ფინანსთა მინისტრი** დაწვრილებით ეხება სახალხო განათლებაზე კომისიის მიერ ნავარაუდევ ყოველ წლიურ ხარჯს. იგი უარჰყოფს იმ ბრალდებას, ვითომც მთავრობა სახელმწიფოს სხვა მოთხოვნილებათ უფრო მეტს მზრუნველობას უწევდეს, ვიდრე ხალხის განათლებას. ასეთი საყვედური დღევანდელ მთავრობას მაინც არ დაუმსახურებიაო. მთავრობის სახელით მინისტრი აცხადებს, რომ ხარჯ-აღრიცხვის ფორმალურ მხარეს ყურადღებას არ მივაქცევთ და ხალხის განათლებისათვის ნავარაუდევ თანხას გადავცემთ, რათა განათლების საქმე 10 წლის განმავლობაში სასურველად დადგესო. (ცენტრი ტაშს უკრავს). მთავრობა შესაფერ თანხის გადადებას არავითარ დაბრკოლებას არ დაუყენებს წინ. ხოლო კომისიის მიერ ნავარაუდევ 10 მილიონის გადადება მთავრობას არსებითად ეძნელება. მთავრობა მხოლოდ 8 მილიონის გადადებას დასთანხმდებოდა. მთავრობის ასეთს სიფრთხილეს საფუძვლად უმაღლესი სახელმწიფოებრივი მოსაზრება უძევს: წარსული ორი მოსავლიანი წელიწადი საკმაო საბუთს არ გვაძლევს, რომ ყოველგვარ ხარჯებს მოუმატოთ. თუ რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრება ხელშემწყობ პირობებში განვითარდა, ყოველთვის შეგვიძლიან ხარჯებიც გავადიდოთ. ამის გამო მინისტრი, კანონ-პროექტის არსებითად არ ეხება და აცხადებს, ამ საქმისათვის მხოლოდ 8 მილ. მანეთის გადადება შეგვიძლიანო. (ტაშის ცემა, ხმები ვაშა!).

**შინგარევი** მინისტრს უპასუხებს და აცხადებს: გასაოცარია, მთავრობამ რამდენჯერმე სურვილი გამოსთქვა სახალხო განათლებას ხელს შევუწყობთო და რაწამს ფულის გადადებაზე მივარდება საქმე, ნავარაუდევ ხარჯთ-აღრიცხვას ამცირებსო. ვერც პრაქტიკულსა და ვერც პრინციპიალურ მოსაზრებაში მინისტრს ვერ დავეთანხმებით. მინისტრი ამ საქმეში გვეჩინება, კადეტები კი ამ ვეჭრობაში მონაწილეობას არ მიიღებენო. (ოპოზიცია ტაშს უკრავს).

**გოლოვკინი** შეეხო ეს კანონ-პროექტი ციმბირში არსებულ მდგომარეობას არასა ჰმატებს. დღევანდელი მთავრობა ერობას არ მიანიჭებს ციმბირს, მაგრამ გვრწამს, დღევანდელი მთავრობა ხომ უკვდავი არ არის. (მარცხნივ ტაშის ცემა).

**ბელოუსოვის** აზრით კანონ-პროექტის შემდგენელთ, ხალხის განათლებაზე საჭირო თანხის ვარაუდი ძველს პრინციპზე დაუმყარებიათ რაც შეიძლება მეტი სკოლა დაარსდეს, იაფ-ფასიანი. თუმცა მესამე სათათბიროში სახალხო განათლება ყველას პირზე აკერია, მაგრამ რაწამს ფულის გადადებაზე მიდგება საქმე, ყველა წუწუნს მოჰყვება, ხაზინას ფული არა აქვსო. ორატორი ეჭვობს, რომ არსებულ მდგომარეობაში, 10 წელიწადში საყოველთაო განათლება მოწესრიგდეს, რადგანაც სკოლების ასაშენებლად სათანადო ფონდი არა გვაქვს და ამ კანონ-პროექტის განხორციელებას ბევრი დაბრკოლება გადაეღობება. ამისათვის ს.-დემოკრატები იმ მემარცხენე ჯგუფს მისცემენ მხარს, რომლის გადასახადების თანხის გადიდებას მოითხოვს.

**ძუბინსკი** თანხის გადიდებას მოითხოვს.

**მამა ტიტოვი.** რუსეთის სახალხო განათლების ისტორიის ეხება და დაასკვნის საყოველთაო სწავლის განსახორციელებლად ჩვენი იმედები მხოლოდ ხაზინის მიერ გადადებულ თანხაზე უნდა ემყარებოდეს, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობანი ახლო მომავალში ამ საქმეს ვერ გაუძლებვიანო. პროგრესისტთა სახელით ორატორი აცხადებს, 10 მილიონის გადადებას ვემხრობითო.

**ნიხაზევი** ნაციონალისტთა სახელით აცხადებს, ფრიად საჭიროდ მიგვაჩნიაო საყოველთაო განათლების უმახლოებელს ვადაზე განხორციელება ამ საქმისათვის აღნიშნული თანხა უნდა გადაიდოსო. სამრევლო სკოლებმაც დამოუკიდებლად უნდა იარსებონ და სინოდის მიერ შემუშავებულ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით დახმარება უნდა ეძლეოდეთო.

განათლების მინისტრი ეხლავე უნდა შეუდგეს შესაფერ მასწავლებელთა მომზადებას არა მარტო რაოდენობის მხრივ, არამედ ღირსების მხრივაც. უპირველესად საყოველთაო სწავლა უნდა მოწესრიგდეს ხოლმინაში, ბელორუსიაში, შორეულ აღმოსავლეთში. (მარჯვნივ ტაშის ცემა).

**ვოლოდიმიროვი.** მემარჯვენეთა სახელით აღნიშნავს, რომ კანონ-პროექტი სამრევლო სკოლას ნივთიერის მხრივ განათლების სამინისტრო უქვემდებარებს, რაც სასურველად არ მიაჩნია. ორატორი სწუხს, რომ ასეთ თვალსაჩინო საკითხის გარჩევას სინოდის ობერ-პროკურორი არ დაესწრო. მემარჯვენეთა ფრაქცია ამ კანონპროექტს იმ იმედით ემხრობა, რომ მუხლობრივ გარჩევის დროს სათათბირო სამრევლო სკოლებს სათანადო ადგილს დაუთმობს.

ერთხმად დაადგინეს კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას შეუდგნენ.

განყოფილება ალ ასტურებს ყოველ წლიურ ხარჯად 1911 წლიდან დაწყებული 10 მილიონს.

**გუდკინი** გლეხთა სახელით მინისტრის მიერ თანხის შემცირებას ვულისწყრომას უცხადებს და კომისიის აზრს ემხრობა.

**ეპისკოპოსი ევლოგი.** სამრევლო სკოლის მფარველნი ვერ აიტანენ, რომ სათათბირომ მხოლოდ საერო და სამინისტრო სკოლები აბნივროს და სამრევლო სკოლები კი დაივიწყებას მისცეს. ამისათვის მას შესწორება შეაქვს, ხაზინიდან ხალხის სწავლა-განათლებისთვის გადადებული თანხა თანაბრად გადაიდეს, როგორც განათლების მინისტრის, ისე მართლმადიდებელ უწყების ხელში (მარჯვნივ ტაშის ცემა).

**სუვეიევი.** აღნიშნავს, სასულიერო უწყება ისედაც საკმაო თანხას ღებულობს, ამისათვის უსამართლობა იქნება სამინისტროს თანხიდანაც კიდევ რაიმე მიეცეთო.

**ტიმინინი.** სათათბირომ მინისტრის წინადადება უნდა უარჰყოს, ვინაიდან გაუნათლებელი ხალხი უსინათლოა. (მარცხნივ ტაშის ცემა).

**მომხსენებელი** [illegible] აზრს ემხრობა და 10 მილიონის გადადებასა ითხოულობს.

**მომხსენებელი კოვალევსკი** ეპისკ. ევლოგის აზრს ეწინააღმდეგება, ვინაიდან იგი კანონის ხასიათს არ შეეფერებაო.

ფინანსთა მინისტრისა და ეპისკ. ევლოგის შესწორებანი უარჰყვეს. 2—7 დებულებანი კომისიის რედაქციით მიიღეს.

**კუტლერი** კადეტთა სახელით ითხოულობს ხაზინის თავისუფალ თანხიდან სკოლათა სამშენებლო ფონდისთვის ერთდროებით 100 მილიონი მანეთი გადაიდოს.

კენჭის ყრით, კუტლერის წინადადება უარჰყვეს.

პროექტის მე-7 თავსაც ღებულობენ. ეს თავი განმარტავს სასკოლო ადგილების შერჩევას და უწყვეტ ვადას პროექტის განსახორციელებლად. ტიჩინინს შესწორება შეაქვს: „ადგილობრივ წყაროებიდან შეკრებილ თანხის“ მაგიერ „ერობისა და სხვა ადგილობრივ წყაროებიდან შემოსული თანხა“. კადეტებს შესწორება შეაქვთ: „პროტესტი სისრულეში უნდა მოვიდეს განსაზღვრულ ვადამდე“ უნდა დაემატოს „არა უგვიანეს 10 წლის საქმის დაწყებიდან“ ორივე შესწორება მიღებულია.

**გუჩკოვი** თავმჯდომარეობს საყოველთაო სწავლის კანონ-პროექტზე დროებით კამათი სწყდება.

სათათბირო შემთანხმებელ კომისიათა მოხსენებას იხილავს. ციმბირისა და ბაიკალის გზაზე 110 ჟანდარმ-უნტერ-აფიცერთა თანამდებობის დაარსებაზე სათათბირო უარსა ჰყოფს.

საზღვაო მთავარ შტაბის ხარჯების გადადება, საბჭოს აზრით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჰხდებოდეს, სათათბიროს აზრით კი—ყოველ წლივ და კანონ-მდებლობითის წესით უნდა სწარმოებდეს.

სათათბიროს სახ. საბჭოს წინადადებას უარსა ჰყოფს.

ფინანსთა სამინისტროს უწყებაში მყოფ სამრეწველო-ტეხნიკურ სახელოსნოებში მოსამსახურეთა და დაქირავებულ მუშათა უბედურ შემთხვევით დაშავებულთა შესახებ, კანონი, არყის მონოპოლიაში მსახურთ არ ეხებაო. სახელმწიფო საბ-

# ბიბლიოგრაფია

ჟურნალი „ნაკადული“ 1910 წ.

ამ ჟამად ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა კრიზისს განიცდის: ჯერ-ჯერობით ბევრი არ გვყავან ისეთი მწერლები, რომელთაც შეეძლოთ თავის ნიჭით შეექმნან ქართულ მწერლობაში რაიმე განსაზღვრული მიმართულება. განსაკუთრებით ღარიბია ჩვენი „საბავშვო ლიტერატურა“.

ჩვენი ახალგაზრდა მწერლები მეტწილად პოეზიის თაყვანის-მცემლები არიან და აკი ამიტომაც არის, რომ ამ ბოლო დროს ქართულ ბელეტრისტიკას არ წარმოუშობია ისეთი კაპიტალური რამ, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა მთელს ჩვენს ახალ სიტყვა-კაზმულ მწერლობას. უხვად გვებადებიან მხოლოდ პოეტები. თითქმის ყოველ თვე შეხვდებით ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ახალ პოეტის სახელს და ამგვარად ჩვენ პოეტთა რიცხვიც დღითი-დღე მრავლდება და იზრდება. სავალალო და სამწუხარო უფრო ის არის, რომ ეს პოეტები პოეზიის „მაღალ მწვერვალთ ეპოტინებიან მაშინ, როდესაც მათი ნიჭი ერთ ვიწრო ფარგალში მომწყვდეული და განსაზღვრული.

საბავშვო ლიტერატურა კი სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული.

ისეთი პოეტები, რომელნიც ბავშვებისათვის სწერენ ლექსებსა, სრულიად არ მოგვეპოვება, და თუ არიან, ისიც ძველი პოეტებია.

ამ ნაკლულოვანების შემჩნევა არავისათვის არ იქნება ძნელი, ვინც კი ყურ-ყურს ადევნებს ჩვენს საბავშვო პერიოდულ გამოცემათ. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ორი საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“ და „ჯეჯილი“.

ჟურნალი „ნაკადული“ დაარსდა 1904 წელს, აწ განსვენებულ მ. დემურიას მეოხებით და თავ. პ. თუმანიშვილის დახმარებით. დაარსების დღიდანვე, როგორც თვით რედაქტორი, ისე მისი ხელმძღვანელნი სცდილობდნენ ეს ჟურნალი ხელ-მისაწვდომი და სასარგებლო ყოფილიყო ქართველ მოზარდ თაობისთვის: ამისათვის ისინი არა ზოგავდნენ შრომას და მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ თანდათან უფრო გაემჯობესებინათ და გაეფართოებინათ ჟურნალის შინაარსი და ამგვარად მეტი სულიერი საზრდო მიეწოდებინათ თავის ახალგაზრდა მკითხველთათვის.

ჟურნალის რედაქტორობდა ამ საგნისათვის საგანგებოდ შედგენილი კომისია, რომელშიაც შედიოდნენ ჩვენი გამოცდილი და ცნობილი პედაგოგები. უხვი შეწირულება, რომელსაც არა ზოგავდა თვით პატივცემული გამომცემელი, ხელს უწყობდა ჟურნალის არსებობას და ამ მხრივ იგი შევიწროებას არ განიცდიდა.

ამ მდგომარეობაში და პირობებში მიატოვა ჟურნალი განსვენებულმა მ. დემურიამ და მისი მოადგილენი ისევ იმ გზით და ამავ პირობებში ეწევიან ამ სასარგებლო ჟურნალის ხელმძღვანელობის მძიმე უღელს. მძიმეა ამ ჟურნალის ხელმძღვანელობა მით უფრო, რომ ჩვენი საბავშვო ლიტერატურის უქონლობა ნებას არ აძლევს ხელმძღვანელთ დამოუკიდებელ და ფართო მოქმედებისას. თარგმნები კი, რომლებსაც უფრო მეტი ადგილი ეთმობა ჟურნალში, ვიდრე ორიგინალებს, მეტ ნაწილად რუსულ საბავშო ჟურნალებიდან არის ამოკრეფილი და ხშირად ისეთ ენით და სტილით ნათარგმნი, რომ სრულიად ეწინააღმდეგებიან ამ ჟურნალის დანიშნულების ძირითად პრინციპს.

ამაშიაც არ შეგვიძლიან ჩვენ ბრალი მთლად „ნაკადული“-ს ხელმძღვანელთ დავსდოთ, რადგან ჩვენი ცნობილი „ენის მცოდნენი“ არა ცდილობენ მცირე შრომა თავს იდვან და ამით მაინც ხელი შეუწყონ ჩვენ მოზარდ თაობას ენის შესწავლა განვითარებაში. ეს არის მიზეზი, რომ ხშირად ამ მეტად პასუხ საგებ საქმეს ჰკიდებენ ხელს ისეთი გამოუცდელი ახალგაზრდები, რომელთაც თითქმის ერთი სტრიქონის გადათარგმნაც კი არ შეუძლიანთ რუსულ-ქართულ ლექსიკონის დაუხმარებლივ.

ორიგინალური სიტყვა-კაზმული ნაწარმოებნი, რომელთაც ძალიან ცოტა ადგილი უკავიათ ჟურნალში, ამ მხრივ უფრო კარგს შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველ ახალგაზრდებზედ და ეს არც საკვირველია, რადგან თუ ჟურნალის რომელიმე ნომერში გამოერია სადმე ორიგინალური ნაწარმოები, ეს უსათუოდ ჩვენს ძველს და ცნობილ მწერალ-პოეტებს უნდა ეკუთვნოდეს.

ერთი ამათგანი არის ჩვენი სასიქადულო პოეტი ვაჟა-ფშაველა, რომლის ორიგინალური ნაწარმოები „ნაკადული“-ს თითქმის ყოველ ნომერში არის მოთავსებული. მისი ნაწარმოები მით უფრო ძვირფასია ბავშვებისათვის, რომ ეს ნაწარმოებნი, ლექსია იგი თუ პროზა, ხელს უწყობს სამშობლო ენის შესწავლას და ამასთანავე შესაფერ სულიერ საზრდოს აძლევს მათ. ვინც გადაათვალიერებს წარსულ წლის „ნაკადული“-ს ნომრებში მოთავსებულ მის მოთხრობებს „იხ, რა კარგი ხარ ოცნებავ ტკბილო!“, „გველდა ცხვარი“, „გასამართლებული ჩიბუხი“, „საახალწლო სიზმრები“ და სხვ., დარწმუნდება, თუ რამდენად ძვირფასია ბავშვებისთვის ამგვარი მეგობარი და გულშემატკივარი. ესევე შეიძლება ითქვას წარსულ წლის „ნაკადულ“-ში მოთავსებულ სხვა ორიგინალურ ნაწარმოებზედაც, რომელნიც ეკუთვნიან ბავშვების არანაკლებ მოსიყვარულე მწერლებს: ეკ. გაბაშვილს, ან. ერისთავ-ხოშტარიას, ნინო ნაკაშიძისას, ივანე გომართელს და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ზევითა ვსთქვით, ეს ჟურნალი მაინც ღარიბია ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებით; ხშირია ამ ჟურნალის ისეთი ნომრები, სადაც ქართულ მხატვრულ ნაწარმოებს მკითხველი ვერ შეხვდება.

გაცილებით უფრო კარგს შთაბეჭდილებას ახდენს ჟურნალი მეცნიერულ შინაარსის მხრივ: წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი წერილები იყო მოთავსებული მეცნიერულ ხასიათისა. ასტრონომიას, ელექტრო-ტეხნიკას, გეოგრაფიას, ზოოლოგიას და მეცნიერების თითქმის ყველა დარგს საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი ჟურნალში. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ საზოგადო ისტორია; კერძოდ ქართული ისტორია კი თითქმის სრულიად არის გამოკლებული ჟურნალის პროგრამმიდან. შესაძლებელია ამ შემთხვევაში ჟურნალის სარედაქციო კომისსია არ სცნობდა საჭიროდ ჟურნალში ცოტაოდენი ადგილი ქართულ ისტორიისთვის დაეთმო (და იქნებ ამას თავისი პედაგოგიური მოსაზრებაც ჰქონდა), მაგრამ თუ საბერძნეთის ისტორიას დათმობილი აქვს ჟურნალში ცოტაოდენი ადგილი, რატომ არ იქნება თუ მეტი არა ამოდენა ადგილი ქართულ ისტორიასაც დაეთმოს? ჩვენ მაინც ეს დიდ შეცდომად მიგვაჩნია! შეიძლება გვითხრან, ისტორია ბავშვს ვერ დააინტერესებსო; მართალია ისტორია მეცნიერულად განხილული და მეცნიერულ ენით გადმოცემული ბავშვს ვერ გაიტაცებს, მაგრამ ალნუსხვა საქართველოს ისტორიიდან ამოღებულ ღირსშესამჩნევ ფაქტებისა, მათი მხატვრულად შემუშავება და საბავშვო ენით გადმოცემა, არამც თუ მარტო ცნობის მოყვარეობას აღძრავს მათში და შეაყვარებს თავის სამშობლოს წარსულს, არამედ შეაყვარებს თვით საგანს, და ეს ხომ თავდები იქნება იმისი, რომ შემდეგში იგი უფრო მეტის სიყვარულითა და ინტერესით მოეკიდება ამ საგანს და უფრო ახლო და ღრმად გაიცნობს ქართულ ერის ისტორიულ წარსულს. ეს კი მით უმეტეს უსაჭიროესია ჩვენთვის, რადგან ვიცით, თუ როგორ და რამდენად იცნობს და შესწავლილი აქვს ეხლა ქართული ისტორია ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობის მომეტებულ ნაწილს!

ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ მომავალში მაინც შეივსება ჟურნალის ეს ნაკლი და ამ გვარად იგი თავისუფლად შესძლებს გვერდში ამოუდგეს ბევრ ცნობილ რუსულ საბავშვო პერიოდულ გამოცემათ.

ამგვარად ჩვენ მოკლედ შევეხეთ ჟურნალ „ნაკადულის“ ნაკლს, რომელიც თუმცა დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ჩვენ ხელს არ შეგვიშლის მისი ღირსებებიც არ შევამჩნიოთ და არ დავაფასოთ. პირველ ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის, რომ ჟურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი გამოჩენილ პირთა და მწერალ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს. მათი სარგებლობა უფრო დიდი იქნება, თუ ჩვენ გამოჩენილ მწერალ-პოეტთა ბიოგრაფიებს, ზედ დაერთვის ლიტერატურულ მოღვაწეობის და ნაწარმოებთა მოკლე განხილვა და დახასიათება.

არ შეიძლება აგრეთვე არ ვაღვიაროთ, რომ წლის განმავლობაში პრემიებად დარიგებული სხვა და სხვა წიგნაკები, ანბანის შესასწავლი „კუბიკები“ და სხ. ბავშვებს ამ ჟურნალისადმი უფრო მეტს ხალისს და სიყვარულს უღვიძებს. სუფთა და დასურათებული გამოცემა ჟურნალისა კი უფრო ათრკეცებს მკითხველის კარგ შთაბეჭდილებას.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია ვაუწყოთ მკითხველთ, თუ რაგვარ უგულობას და დაუდევრობას იჩენს ჩვენი საზოგადოება ამ ერთად-ერთ ნამდვილ საბავშვო ჟურნალისადმი: 800 ხელის მომწერთაგან, რომელთა უმრავლესობას პროვინციელნი შეადგენენ, უმეტესი ნაწილი ხვედრ ფულს არ იხდის და ამას, თქმა არ უნდა, გავლენა აქვს ჟურნალის საზოგადო ხასიათზე.

მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებისა ჩვენ გვწამს, რომ ჟურნალის ხელმძღვანელნი ისევ კვლავინდებურად, ენერგიულად და სიყვარულით განაგრძობენ ამ მძიმე შრომას და ხელს შეუწყობენ ჩვენ ყრმათა სულიერ აღზრდა განვითარებას.

მაშ, ვუსურვოთ მათ უფრო მეტი ენერგია და ნაყოფიერება.

**შალვა ტატიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს აზრით შემთანხმებელმა კომისიამ ეს მოსაზრება მოიწონაო.

სტემანოვი, ბრეჟკუნი და კუზნეცოვი აცხადებენ, ეს კანონ-პროექტი სათათბიროში პირველი ნაბიჯია მუშათა საკითხის გადასაწყვეტად. აღძრული შემთანხმებელი კომისია, როდესაც ამ საკითხში სახ. საბჭოს დაეთანხმა, ამით 13,000 კაცის ბედი, რომელიც არყის მონოპოლიაში მსახურებს, სამუდამოდ დამარხაო.

თუმცა შემთანხმებელმა კომისიამ ერთ ხმით მიიღო ასეთი დადგენილება, მაგრამ სათათბირომ კენჭის ყრით უარჰყოფს იმ მუხლს, რომელიც არყის მონოპოლიაში მოსამსახურე პირებსაც არ უქვემდებარებს ამ კანონის ძალას.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარეთ.**

**25 იანვარი.**

**ბერლინი.** საიმპერიო ბანკმა სადისკონტო სარგებელი $4^1/_2$-ზე და სესხის სარგებელი $5^1/_2$-ზე ჩამოიყვანა.

**ლილლი.** სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჯილდოების დარიგების დროს მიწად-მოქმედმა მინისტრმა განაცხადა: ხორბალზე გადასახადი უნდა დარჩესო.

**ურმია.** მთავრობის მხედრობამ ენჯუმენს ჯამაგირი მოსთხოვა. ენჯუმენმა გუბერნატორს წინადადება მისცა, ან დააკმაყოფილოს მხედრობა და ან რაზმი გააუქმოს. გუბერნატორმა წინადადება უარჰყო. მხედრობის უმრავლესობა სამსახურიდან გადადგა.

**ათინა.** სტრატორი 276 ხმის უმრავლესობით, 219 ხმის წინააღმდეგ პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს.

**ოვიედო** (ისპანია). ტელეფონის ცენტრალური სადგური და შენობები ასტურიის ბანკისა და თამბაქოს პლატანციების საზოგადოებისა ცეცხლმა შთანთქა.

**ლონდონი.** მეფემ დედოფლის თანადასწრებით პარლამენტი გახსნა. სეფე-სიტყვა ფეხზე ადგომით წაიკითხა სიტყვაში აღნიშნულია: მეგობრული განწყობილება უცხო სახელმწიფოებთან, ორივე პალატის დამოკიდებულება, განზრახული კანონ-პროექტები, მუშათა დაზღვევა, და გამოთქმულია იმედი, ინგლისს იაპონიას შორის ახალ სავაჭრო ხელშეკრულობის დადებაზე.

**ურმია.** ნეჯეფის მუშტეიდებიდან ტელეგრამა მიიღეს, რომლითაც ესენი ოსმალეთთან შეკავშირებას ურჩევენ, რათა ამით ჩვენ სპარსეთს უცხოელთა ჯარისაგან განვათავისუფლებთ და ქვეყანას ავაღორძინებთო. მაგრამ სასულიერო პირთა და მემამულეთა კრებამ ეს წინადადება უარჰყო, რადგანაც ოსმალეთს ვერ ვენდობით და პირიქით სპარსეთის ოლქების განთავისუფლება ოსმალო ჯარისაგან მოითხოვა.

**თეირანი.** რუსეთის ელჩმა მოითხოვა ფინანსთა მინისტრის მკვლელები გადმომეცითო, მაგრამ მთავრობამ უარი სთქვა, რადგანაც მკვლელებს ვინაობის შემოწმებელი საბუთის ქაღალდები არ აღმოაჩნდათ.

**პარიზი.** სენატორმა ემონმა სენატის კომისიაში წინადადება შეიტანა, პარიზის უცხოელთა სახელმწიფო ბანკების ნაწარმოებს გადასახადი დავადვთ.

**ურმია.** ოსმალეთის მთავრობის რწმუნება, სპარსეთში ჯარის გაგზავნა მოსაზღვრე მიდამოებში ძარცვა-გლეჯის გაზშირებამ გვაიძულაო, უსაფუძვლოა, რადგანაც ოსმალეთის ჯარის უმთავრესი ბინა სულდუზის ოლქშია და ეს მხარე ყაჩაღობიდან უზრუნველ-ყოფილია პირიქით ოსმალოებისაგან დაჭერილ მხარეებში ქურთები ნავარდობენ, ოსმალეთის წაქეზებითაო. აქაურ ბაზარზე ალებ-მიცემობა სუსტად სწარმოებს, ვინაიდან ადერბეიჯანში ოსმალეთის ცუდი განზრახვა ცხადლივ ცხადი ხდება.

**ფ რ ა ნ ს ა**

**დებერიცი.** სამხედრო მფრინავი, ლეიტენანტი შტეინი 20 ადლის სიმაღლიდან ჰაეროპლანით ძირს ჩამოვარდა და სული განუტევა.

**ჩ ა მ ი**

**ხარბინი.** დღე-ღამეში 20 ჩინელი და 2 ევროპიელი გარდაიცვალა. 23 იანვარს 1782 ჩინელი და 15 ევროპიელი გახდა ავად.

**მარხელი.** სანიტარული მმართველობა სასტიკ ზომებს ღებულობს. ჟამით მოდებულ ქვეყნებიდან გემებს სჩხრეკავენ.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** მთელ რუსეთის მე-5 კრება საბირჟო ვაჭრობისა და სასოფლო-მეურნეობისა, გაიხსნა. კრების თავმჯდომარედ პროზორევი აირჩიეს.

**ლოძი.** კალიშის ქუჩაზე ერთ ბინის ჩხრეკის დროს პოლიციელი სასიკვდილოდ დასჭრეს. მკვლელი ავაზაკთა ბელადი აღმოჩნდა.

**პეტერბურგი.** თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ თავიანთ წრიდან გამორიცხა პეტერბურგის გუბერნიის აზნაურნი, ნაწევრნი პირველ სახელმწიფო სათათბიროსა, ნაბოკოვი და კედრინი, რადგანაც ამათ ვიბორგის მოწოდების შედგენაში მონაწილეობა მიიღეს.

**ნოვოჩერკასკი.** კალმიცის სოფელში ოთხი ყალბ-ფულის მკეთებელი შეიპყრეს.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ ორშაბათს, 24 იანვარს, ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით **ქალაქის საბჭოს კრება** მოხდა. პირველად კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ექიმის ს. გ. ხალათოვის ხსოვნას, რომელიც წინად საბჭოს ხმოსნად იყო. შემდეგ მორიგ საკითხთა განხილვას შეუდგა. საბჭომ დაადგინა, მიეცეს შემწეობა: ბრმათათვის მზრუნველ საზოგადოების სკოლას—1,000 მან., სომეხთა ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას—300 მან., სცენის მოღვაწეთა ჯგუფს „ნაძალადევს"—100 მან. გერმანელ კათოლიკეთა სასწავლებელს—100 მან. ღარიბ სომეხთა ბავშვების დამხმარე საზოგადოებას „ლუის"-ს—100 მან. შემდეგ საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება სამხედრო სტოლის რეორგანიზაციის შესახებ, რისთვისაც გადასდო 1,600 მან. დაამტკიცა აგრეთვე მოხსენება „ვაკეში" წყალსადენის გაყვანის თაობაზე, რომლისთვისაც 3.000 მან. გადაიდო. მოხსენება ტფილისის გაყოფის შესახებ სამ საარჩევნო უბნად, რომლის შინაარსი ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, უცვლელად იქმნა მიღებული. საკითხი ორმაგ იტალიურ სისტემის შემოღების შესახებ ქალაქის ბუხჰალტერიაში ამ დღეს არ იქმნა განხილული და საბჭოს მომავალ კრებისთვის გადაიდო. კამათი გამოიწვია საკითხმა ქალაქის დამფასებელ აღმასრულებელ კომისიის საქმეების წესიერად დასაყენებლად დამატებითი თანხის გადადების შესახებ. კამათის შემდეგ საბჭომ 900 მანეთი გადასდო.

✦ ორშაბათს, 24 იანვარს, **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობის მორიგი კრება მოხდა. გამგეობამ მსჯელობა იქონია იმის თაობაზე, როგორ აღნიშნოს 19 თებერვალი გლეხთა განთავისუფლების 50 წლის თავი. გამგეობამ დაადგინა, ამ დღეს სახალხო სახლში ლექცია გამართოს სამუსიკო ვანყოფილებით და მოიწვიოს ლექტორები: ბ-ნი შახნაზაროვი, რომელიც თავის ლექციაში შეეხება საკითხს, თუ როგორ ხდებოდა გლეხთა განთავისუფლების რეფორმა და ბ-ნი პალმოვი, რომელიც წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „როგორი გავლენა იქონია ამ რეფორმამ რუსეთის ლიტერატურაზე". მოწვეულ იქმნებიან აგრეთვე არტისტები ნიკულინი და მურომცევი სამუსიკო განყოფილებაში მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ გამგეობამ მსჯელობა იქონია იმის თაობაზე, რომ 12 თებერვალს ასი წელიწადი სრულდება, რაც გამოჩენილი მეცნიერი დარვინი დაიბადა. გამგეობამ დაადგინა: ამ დღის აღსანიშნავად 13 თებერვალს ლექტორს სნარსკის შესაფერის ლექციის წაკითხვა სთხოვოს.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაძლებლად დაინახა გააუქმოს ის ცირკულიარული განკარგულება, რომლითაც აღკრძალული იყო დრო გამოშვებით გამოცემებში ბეჭდვა **ჯარის გადაყვან-გადმოყვანისა** და სამხედრო სამინისტროს მუშაობის შესახებ ცნობებისა.

✦ ამ დღეებში ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო კრება მოხდა ქალაქის **გამგეობის წევრის** თანამდებობაზე კანდიდატურის დასასახელებლად. კრებამ საგანგებო კომისია აირჩია და დაავალა, თვით დაასახელოს კანდიდატები და შემდეგ კერძო თათბირზე, რომელიც 29 იანვარს მოხდება, თავისი მოსაზრებანი წარადგინოს ამ საკითხის თაობაზე.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ამას წინად სომეხ მწერალს სპანდარ სპანდარიანს **პროვოკატორობა დასწამეს.** ბ-ნი სპანდარიანი თავის გასამართლებლად დაუყოვნებლივ პარიზს გაემგზავრა, სადაც უკვე დაუმტკიცებია თავისი სიმართლე. არქიმანდრიტი მესროპ მაქსუდიანი გაზეთ „ოვიტ"-ში არწმუნებს, მე თვით წავიკითხე ცნობილ ვლადიმერ ბურცევის ოფიციალური წერილი, რომელშიაც სწერია **სპანდარ სპანდარიანი** სრულიად უდანაშაულოაო.

✦ ტფ. ქალაქის მთავარ ინჟინრის გ. მონკარიშვილით, ქალაქის ქუჩების **უზრუნველსაყოფად წყალდიდობისდროს** საჭიროა 94,910 მ. ამ ფულიდან 36,745 მან. მიმდინარე წელშივე უნდა გადაიდოს.

✦ ამას წინად ქალაქის საბჭომ დაადგინა ახალ **ხარჯთ-აღრიცხვის** დამტკიცებამდე 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვით იხელმძღვანელოს გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას აცნობა ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა შეაჩერეთო, რადგან შარშან დელმა ხარჯთ-აღრიცხვამ ქალაქის კასას ზარალი მიაყენა და წელსაც იმავე ხარჯთ-აღრიცხვით ხელმძღვანელობა ქალაქის კასას უარეს დღეში ჩააგდებსო.

✦ საქართველოს ეგზარხოსმა ყურადღება მიაქცია ტფ. დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის 30 ქალს, რომელთაც აქამდე **ზამთრის ტანისამოსი არა ჰქონდათ,** რის გამოც პანსიონიდან გარედ, არც ერთხელ არ გამოსულან. ეგზარხოსმა განკარგულება მოახდინა, 400 მან. გადიდოს ამ მოსწავლე ქალების შესამოსად.

✦ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ 2.000 მ. გადასდო ბათუმის ნავთ-სადგურის **თოვლისგან გასაწმენდად.**

✦ საქართველოს ეპარქიის სასწავლებლის საბჭომ დაადგინა, სოფელ ლაგოდეხში **სამრევლო სკოლა დახუროს** ნივთიერ უსახსრობისა გამო.

✦ უწმ. სინოდმა წელიწადში 150 მან. **პენსია** დაუნიშნა ტფ. დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის მოსწავლეს ეკატერინე ხახუტაშვილს.

✦ დღეს, 26 იანვარს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში **მსახიობ ივანიძის საბენეფისოდ** წარმოადგენენ აკაკის ისტორიულ პიესას „პატარა კახს".

✦ 24 იანვარს ტფილისში 35 უძრავი სპორტი შეიძინეს.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ფელეტონს უნდა ეწეროს, რომ იგი „რებიდან"-ის ნათარგმნი.

## ტფილის. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

23 იანვარს მოხდა თავად-აზნაურთა საგანგებო კრება თ-დ გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილის თავმჯდომარეობით. დეპუტატთა საკრებულოს მდივანი ი. ზურაბიშვილი კახეთის რკინის გზის საქმის ოქმს კითხულობს.

„10 იანვრიდან 1911 წ., კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე თითქმის მოთავებულია და მუშაობას შემოდგომაზე შეუდგებითო", ნათქვამია ოქმში.

თავად-აზნაურობის აღმასრულებელი ორგანო თავის დასკვნაში სურვილს აცხადებს, რომ თავად-აზნაურობამ დანარჩენი 550,000 მ. აქციებიც შეიძინოს (მას დღეს 400,000 მანეთისა უკვე შეძენილი აქვს), რათა კახეთის რკინის გზის საქმეში სათანადო მდგომარეობა მოიპოვოს.

**თ-დ ბ. გ. ბაგრატიონ-დავითიშვილი:** ჩვენ საქმე გაგაცანით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. ეხლა საგანგებო კრება, მე მგონია, მიანდობს წინამძღოლთა კოლლეგიასა და თავად-აზნაურთა დეპუტატებს და დანარჩენ 550,000 მანეთის აქციების შეძენის საკითხის განხილვას. აგრეთვე თავად-აზნაურთა კრება, უეჭველია, გამოსთქვამს იმ აზრს, რომ მასა ჰსურს რკინის გზის გამგედ და პატრონად დარჩეს.

**ხმები:** რასაკვირველია, რასაკვირველია!

**თავ. გ. ნ. დიასამიძე:** მე მიხარიან და მზადა ვარ მადლობა გადავუხადო ბ-ნთ რწმუნებულთ, რომელთაც საქმე ბოლომდის მიიყვანეს; მაგრამ მიკვირს, რატომ თავად აზნაურობას არა ჰსურს, სავსებით გაგვაცნოს ხელშეკრულობა? რას ნიშნავს გუბერნიის წინამძღოლის სიტყვები: „გაგაცანით, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყოო"?

**თ-დი გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი:** დიდად მოხარული ვარ, რომ თ-დმა დიასამიძემ ეს კითხვა წამოაყენა. ყველა კომერციულ საქმეში არის იმისთანა საიდუმლო მხარე, რომლის გამომჟღავნება ყოვლად შეუძლებელია. როდესაც ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა ინგლისისა და რუსის დიდ ფირმებთან წარსულ წლის ოქტომბერში დეპუტატთა საკრებულოში, 46 თავად-აზნაურის ხელ-მოწერილი განცხადება მივიღეთ; ისინი მოითხოვდნენ საგანგებო კრების მოწვევას და ხელშეკრულების პირობათა გაცნობას, ჩვენ ეს მოუხერხებლად ვსცანით სხვა და სხვა კომერციულის მოსაზრებით. ეხლა კი რუსეთ-აზიის ბანკის ხელშეკრულობას მთლად წავიკითხავთ, რომ ვინმემ ეჭვი არ შეიტანოს.

**მდივანი** კითხულობს ხელშეკრულებას. მოგვყავს ღირსშესანიშნავი მუხლები: მთლად საობლიგაციო თანხას 18 მილიონ მანეთისას ბანკი თავის თავზე იღებს. ბანკი ეხლავე აძლევს 400,000 მანეთის აქციას. თავად აზნაურობას უფლება აქვს ამ აქციების გარდა ბანკიდან კიდევ შეიძინოს აქციები 550,000 მანეთისა, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ წერილობითი თხოვნა მუშაობის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში იქნება წარდგენილი.

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობაში ორი დირექტორი არჩეულ იქმნება თავად-აზნაურთაგან. თუ აღნიშნულ ვადაზე თავად-აზნაურობამ არ შეიძინა ხელშეკრულობით განსაზღვრული აქციები 550,000 მან., ბანკს უფლება აქვს გაანაწილოს თავის და მიხედვით. რკინის გზის მუშაობა ბანკმა აუცილებლად ხელშეკრულობის შემდეგ მეექვსე თვეს უნდა დაიწყოს. თავად-აზნაურობას უფლება აქვს აქციები ბირჟაზე შეიძინოს. საამშენებლო თანხიდან გადარჩენილი ფული ბანკის საკუთრებას შეადგენს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ინჟინერ ანდრიანოვისთვის პირველად გზის გამოკვლევისათვის მიუციათ 30 ათასი მანეთი.

**გ. ი. რცხილაძე.** საჭიროა ვიცოდეთ, რომელ მოსაზრებით და რა პირობით მიეცა ეს ფული ანდრიანოვს?

**თ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი** პირობის და გვარად ანდრიანოვს უნდა მიეღო 25 პროც. აქციებისა, რომელსაც მიიღებდა თავად-აზნაურობა ბანკისაგან ე. ი. 100 ათასი მანეთი, მაგრამ განსაკუთრებულ შეთანხმებით ანდრიანოვი 30,000 მანეთს დაჯერდა.

**გ. ი. რცხილაძე.** იმისდა მიხედვით რომ ეხლანდელი კონცესია ტფილისიდან თელავამდე რკინის გზას ეხება, ნავარაუდევი კია, რომ რკინის გზა ნუხიდან ზაქათალამდე უნდა გავიდეს, წინადადება შემომაქვს ეს კრება შევწყვიტოთ რამდენიმე დღით, რომ კრებამ თავის კერძო სხდომაზე თავის რწმუნებულებს ახალი მინდობილობანი მისცეს რკინის გზის გაგრძელების გამო და აგრეთვე ზედმიწევნით გაეცნოს იმ მოხსენებას, რომელიც აქ იქმნა წაკითხული.

**თ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი.** კრება მხოლოდ შეიძლება ორი კვირით გადაიდოს. ამ ხნის განმავლობაში კი ვეჯრაფერს მოვასწრებთ. თუ ვისმესა ჰსურს მოხსენება გაიცნოს, დეპუტატთა საკრებულოში მობრძანდეს.

ამის შემდეგ გუბერნიის წინამძღოლის თხოვნით მდივანი კითხულობს 46 თავად აზნაურის შეკითხვას, რომელიც წარდგენილ იქმნა წარსულ წლის ოქტომბერში. შეკითხვის ავტორნი სთხოვდნენ საერთო კრება მოეხდინათ. ეს თხოვნა უარყოფილ იქმნა და, როგორც დამატებიდან გამოირკვა, შეკითხვის წარმდგენელთა თვის ეს არც კი უცნობებიათ

**გენერალი თ-დი ი. ხ. ჭავჭავაძე.** მეც მქონდა მოწერილი ხელი ამ განცხადებაზე, აღვნიშნავ უპატივცემლობას და პროტესტს ვაცხადებ ასეთ მოქმედებისთვის. შეიძლებოდა მოეწვიათ საერთო კრება და ისევ ის ეთქვათ, რაც დღეს ოქმშია ნათქვამი. ჩვენ დავკმაყოფილდებოდით.

**თ-დი გ. ნ. დიასამიძე და თ-დი ი. ე. ანდრონიკოვი.** ამავე აზრისანი არიან მაგრამ დაუმატებენ, რომ ზემორე აღნიშნულ ჯგუფს არავითარი სურვილი არ ჰქონდა საქმეს წინ გადაღობებოდა; მათ, როგორც საქმის პატრონთ, სურდათ გასცნობოდნენ რკინის გზის საქმეს, რომლის განხორციელებასაც აგერ 30 წელიწადია ელის ქვეყანა ანდრონიკოვი წინადადებას აძლევს რამდენიმე დღით კრება შესწყდეს, რომ ამ ხნის განმავლობაში შეიმუშავონ პირობები 550,000 მანეთის აქციების შესაძენად.

**თ-დი მ. გ. მაჩაბელი** სიტყვას ითხოულობს.

**თ-დი გ. დიასამიძე** მიუბრუნდება საგუბერნიო წინამძღოლს და ეუბნება: თქვენ არ ჰსაჭიროებთ მ. მაჩაბლის დაცვას. ჩვენ ყველანი თქვენი დამცველები ვიქნებით, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს.

**თ-დი მ. მაჩაბელი** მე დაქირავებული დამცველი არ გახლავარ!

**თ-დი გ. დიასამიძე** პროტესტს აცხადებს ასეთს შეურაცხყოფისთვის.

კრება 10 წუთით შესწყდა. განახლებისას თავმჯდომარე სთხოვს ჩაწერილ ორატორებს, სიტყვები აღარ სთქვან.

**თ-დი მ. მაჩაბელი** რისა გეშინიათ?

**თ-დი გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი.** კამათს ნუ გაამწვავებთ!

**თ-დი მ. მაჩაბელი** აიძულებს და სიტყვას ამბობს: უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ თ-დ დიასამიძეს ტყუილად ეწყინა ჩემი სიტყვები. მე მხოლოდ აღვნიშნე, რომ დეპუტატთა საკრებულოს დამცველად არ გამოვდივარ. მეორე, თქვენ ამწვავებთ საქმეს, თქვენო ბრწყინვალებავ, და არა მე.

**ხმები** საქმეზე ილაპარაკეთ.

თ-დი **მაჩაბელი** კმაყოფილნი ვართ, რომ ბოლოს მაინც გველირსა უფლება კახეთის რკინის გზის გაყვანისა და სრულიად მეტია საყვედური რწმუნებულთადმი. ყოველ შემთხვევაში ყველაფერი ითქვას საერთო კრებაზე და არა ქუჩაში.

**ხმები.** განა ეგ დამცველობა არ არის?

**თ. გ. დიასამიძე.** თქვენი მისევა „ზაკავკაზიიდან" ქართველ ინტელიგენციაზე?

**თ. მაჩაბელი.** ჩვენ აქ მსჯელობა გვაქვს კახეთის რკინის გზაზე და არა ქართველ ინტელიგენციაზე. რკინის გზის გაყვანის საქმე უკვე გამოირკვა. ეხლა გადასახადის საკითხი გამოვარკვიოთ.

**თ. ი. დ. აბხაზი.** კრების გადადებაზე ლაპარაკი სულ მეტია. მოვისმინეთ მოხსენება; ჩვენმა რწმუნებულებმა და აღმასრულებელმა ორგანომ მუშაობა უნდა განაგრძოს. არ არის საჭირო დღეს რაიმე დადგენილება გამოვიტანოთ.

**თ-დი დ. გ. ჯორჯაძე** მაშ უჩვენოდაც შეიძენენ 550,000 მანეთის აქციებს.

**საგუბერნიო წინამძღოლი.** არა!

ამის შემდეგ თ-დი დ ე. ჩოლოყაშვილი გრძელ სიტყვაში განმარტავს ხელშეკრულობის პირობებს და ამასკვნის, კახეთის რკინის გზის მუშაობა ამ მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყებაო.

**გენერალი გ. ნ. ყაზბეგი** მე დიდად მოხარული ვარ, რომ კახეთის გზის კონცესიის განხორციელების საქმე სასურველად დაგვირგვინდა, ახლა წინადადება შემომაქვს მადლობა გადავუხადოთ მის ბრწყინვალებას კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს, რომელმაც თავის დახმარება აღმოუჩინა ამ საქმეს განხორციელებას.

კრება ამ წინადადებას ერთხმად იღებს და დეპუტაციას ირჩევს. მათ შორის არჩეულ იქმნა თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი და თ-დი გ. პ. თუმანიშვილი.

# ბუტურლინის მოწამვლა

22 იანვარს სასამართლოში პანჩენკომ განაცხადა: ბუტურლინი განზრახ არ მომიწამლავს და თუ დანაშაულს ვსცნობ თავს მხოლოდ იმ მხრივ, რომ სპერინი ეპიდემიის ფექციონებით შეეხებინოო. წინასწარ გამოძიების დროს მოწამვლაში თავი დამნაშავედ ვაღიარე, რადგანაც გამომძიებელი დამპირდა, თუ „გამოტყდები" ზოგიერთ შეღავათს მოგცემო, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ოჯახის დატუსაღებით შემოუქრებოდა. მაგრამ გამომძიებელმა დანაპირები სავსებით არ აასრულა და როდესაც ამის თაობაზე მინისტრის მიმართ თხოვნა დავსწერე, გამომძიებელმა მაიძულა არზა უკანვე წამეღო.

წინასწარ გამოძიების დროს პანჩენკოს გამომძიებელი შეეკითხა:

ბუტურლინი რით მოსწამლეთ?

მან უპასუხა: „შეიძლება დეზენტიურიული საწამლავითაო" და დედანშიც აგრე სწერია და არა „დიფტერიული".

პანჩენკოს და ქ-ნ მურავიოვის მეკარემ სთქვა: ხშირად ნივთიერ სილარიბეს განიცდიდნენ და ისიც მოვიდარა, რომ რამდენიმე თვით სახლის ქირაც ვერ გადაუხდიათ. მურავიოვის მოახლეს არა ერთხელ უთქვამს: „ჩემი ბატონი მალე გამდიდრდებოო". ისიც ვიციო,—დასძინა მეკარემ,—რომ ტელეფონით, „გრან-ოტელიდან" ხშირად გამოუძახებდნენ და ერთხელ თვით დელასსის პანჩენკოს ესტუმრაო. ტელეფონითვე ბუტურლინისას იბარებდნენ. განსვენებულის მოახლე პანჩენკოს სანახავად მოვიდა და ასე ჰლანძღავდა: „ჩვენი ბატონი მოსწამლა და ახლა კი აღარ ეკარებაო". მოწმე სტუდენტი ლიტვინოვი მურავიოვისას ახასიათებს, როგორც ფიცხსა და ანჩხლ ადამიანს, შვილებს მოძულე დედად.

ამ დროს მურავიოვისას გული წაუვიდა და სხდომა რამდენიმე წამით შესწყვიტეს.

ქ-ნ მურავიოვის მოახლემ წინასწარ გამოძიების დროს თქმული ჩვენება სრულებით შესცვალა და ქალბატონი კარგის მხრივ მოიხსენია. მოწმე, აფიცერი სტარიკოვი შემოსვლისას ქ-ნ მურავიოვისას სალამს უძღვნის. ეს უკანასკნელიც ღიმილით თავს უკრავს. სტარიკოვმა განაცხადა, პანჩენკო და ქ-ნი მურავიოვისა დიდი ხნის მეგობრები არიან, და პანჩენკომ მურავიოვს აღთქმა მისცა, რომ მისს ოჯახს უპატრონებდა. მოწმემ საზოგადოდ ორივე კარგად მოიხსენია.

„გრად-ოტელის" მოსამსახურეებმა დაადასტურეს: დელასსის 29 აპრილიდან 5 მაისამდე სასტუმროში ცხოვრება.

ბრალმდებელი ამ შემთხვევას დიდს მნიშვნელობას აძლევს, რადგანაც ამით მტკიცდებაო, რომ, პანჩენკოს განცხადებისა არ იყოს, დელასსის ფული მიუცია პანჩენკოსთვის, შავიქირის მრატი შესაძენადაო.

შემდეგ ექსპერტებს, გადასცეს დელასსისა და ორი სხვა საწერი მანქანა, იმის შესამოწმებლად, თუ ფრანგულს ენაზე დაწერილი ბარათი რომელს მანქანით იყო დაბეჭდილი.

პანჩენკომ თავმჯდომარის შეკითხვაზე სულ სხვა განმარტება მისცა ამ ბარათში ნახმარ წინადადებებს, თუმცა წინასწარ გამოძიების დროს კი აღიარა: მამისა და შვილის მოკვლაა ნაგულისხმებიო. მოწმეებმა სალნიმ და კრუნიმ დელასსი ძლიერ ცუდ პიროვნებად დაახასიათეს.

პანჩენკოს თანამოსამსახურე, რკინის გზაზე, შინშინი მას კეთილ კაცად ახასიათებს.

მოწმე დრინკმაც წინასწარ გამოძიების ჩვენება უარჰყო და პანჩენკოს სასარგებლოდ ილაპარაკა.

საქმის გარჩევა შემდეგის სხდომისათვის გადაიდო.

# ცოტა რამ კავკასიის საქმეებზე

კავკასიის მთავრობა ცენტრალურ მთავრობას არ ჩამორჩა და თავის მხრივ გამოაცხადა რა წამს ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება და დაწყნარების გზას დადგება, რეფორმებს რეფორმებზე მოვახდენთო.

ჯერ კიდევ 1907 წ. ე. ი. ერთის წლის შემდეგ გრ. ვორონცოვ-დაშკოვის განამესტნიკებისა, იგი ქვეყნის მართვა-გამგეობის ანგარიშში, მეტად ვრცლად ასაბუთებდა კავკასიაში რეფორმათა მთელის რიგის დაუყოვნებელ საჭიროებას.

უპირველესად, ნამესტნიკის აზრით, დროებით ვალდებულ გლეხთა მემამულეთაგან განთავისუფლება უნდა მომხდარიყო მთელ ამიერ-კავკასიასა

და დაღესტანში, ვინაიდან ამ დამოკიდებულებამ სრულიად შეაჩერა ქვეყნის წინ სვლა და კავკასიას შფოთისა და არეულობის ნიადაგი შეუმზადა.

აქვე მოჰყავდა ისტორიული, პოლიტიკური, ზნეობრივი და ეკონომიური ხასიათის მოსაზრებანი, რომ დროებით ვალდებულ გლეხთა „ნადელები“ ხაზინამ უნდა გამოისყიდოს და არა თვითონ გლეხებმაო.

ამას გარდა საერობო თვითმმართველობაც უნდა შემოეღოთ, ურომლისოდაც, როგორც მაშინა ჰფიქრობდნენ, ყოველივე ცდა ადგილობრივი მეურნეობისა ხალხის განათლებისა და სხვათა გასაუმჯობესებლად უნაყოფოდ ჩაივლიდა.

დაუყოვნებლივ უნდა მოწესრიგებულიყო მიწისა დახლართული დააწეწილ-დაწეწილი საკითხი და ადგილობრივ მკვიდრთა გამაღატაკებელი დავა კერძო მემამულეთა, საზოგადოებათა და ხაზინის შორის.

კავკასიაში საარხო საკითხი წამოაყენეს და ამასთანავე აღნიშნავდნენ მიწის საშინელ სივიწროვეს და საჭიროდ ჰრაცხდნენ ეს ნაკლი თავისუფალ ხაზინის მიწების მიზომით შეევსოთ.

მეტად ბეჯითად და მჭერმეტყველურად ამტკიცებდნენ კავკასიის უმაღლეს სასწავლებლის საჭიროებას, რათა კავკასიელნი რუსეთის კულტურით ეზიარებინათ, უმდიდრესი მხარე ყოველგვარ სპეციალისტებით გაემდიდრებინათ, ადგილობრივ ახალ გაზდობისათვის საშუალება მიეცათ, უმაღლესი სწავლა ადგილობრივ მიეღო და არა ჩრდილოეთის უნივერსიტეტებში, სადაც ნამესტნიკის სიტყვით, შეუჩვეველსა და სუსხიან ჰავას ვერ იტანენ და უმრავლესობა მათგანი იღუპება.

თითქმის აღშფოთებულნი იყვნენ, რომ კავკასიის სასამართლოებში მსაჯულებმა ადგილობრივი ენები არ იციან და „უვიც თარჯიმანებზე არიან დამოკიდებულნი“, სოფლის სასამართლო მექრთამეობის ბუნაგად გადაქცეულა, რის გამოც ნამესტნიკი კავკასიის სასამართლოს ძირითადს რეფორმებს მოითხოვდა.

პირველ დაწყებით სკოლებიდან დედა-ენის დევნა ფრიად მავნე და შეუწყნარებელ საქმედ იყო მიჩნეული, როგორც პედაგოგიურის, ისედა უმთავრესად—პოლიტიკურის თვალსაზრისით. ბავშვები, რომელნიც იძულებულ არიან გაუგებარს ენაზე ისწავლონ,—ნათქვამია ანგარიშში—სკოლის დამთავრების შემდეგ, ყოვლად უვიცნი გამოდიან და იმ ბეჩავ ცოდნასაც მალე ივიწყებენ, თუ რამე გამოიტანეს. დედა-ენის სკოლიდან დევნა მეტად არა სასურველს უკმაყოფილებას დაჰბადავს და სახელმწიფოს მთლიანობასა ზიანს მოუტანს, რადგან ეროვნულ ტენდენციებს შექმნის.

ორაზროვნად არ იყო აგრეთვე აღნიშნული, რომ გლეხკაცობას აუტანელ ტვირთად აწევს ათასი გარდასახადი და თვითონ ხარჯის თანაბრად არაა გაწერილი გლეხობაზე და სხვა წოდებაზე. ერთის სიტყვით, გეგონებოდათ. ახლა კი დასდგა ხანა დიდი ხნის ნანატრის ასრულებისა, „ყოვლად კეთილ გონიერ კავკასიის ერნი“ უსაჭიროესს რეფორმებს ეღირსებიან, ეს „რუსეთის მარგალიტი“ სწრაფის ნაბიჯით გასწევს წინსვლის გზაზე და ნამდვილ ელდორადოდ გადაიქცევა.

მას შემდეგ 5 წელიწადი გავიდა, მაგრამ რეფორმები არსადა სჩანს რატომ?

ამის პასუხი ნამესტნიკისავე მარშანდელ ანგარიშში უნდა ვეძიოთ.

**სახელ. სათ. დეპუტატი.**

**ნ. ს. ჩხეიძე.**

დასასრული იქნება

## მცირე შენიშვნა

**(წერილი რედაქციის მიმართ)**

„სახალხო გაზეთი“-ს მე-211-ე ნომრის მეთაურს წერილში არტელების შესახებ რამდენიმე მაგალითია მოყვანილი ჩვენის ცხოვრებიდან და დასახელებულია ნაცვალ-გარდა მუშაობა, მენარდეები და ხანუდობა როგორც არტელების ჩანასახი. ჩემის აზრით, ამათზე უფრო გარკვეულ ჩანასახად არტელისა უნდა ჩაითვალოს ჟოლალი, გუთნეული, სეფე მამითადი და ოჩხარი. ხანუდობა სულ სხვა ხასიათისაა და მარტო წველაში იციან. ხანუდება სულ ორი, იშვიათად სამი დედაკაცი. კარგი ძროხის პატრონი არ საჭიროებს ხანუდობას, რადგანაც უთვლს სამს დღეში ერთხელ მაინც შეუგროვდება შესადგები მაწონი.

ხანუდობის უმთავრესი აზრი ის არის, რომ მალე შეგროვდეს შესადედებელი რძე და მალევე შეგროვდეს შესადგები მაწონი. ხანუდობით რძე უფრო მალე გროვდება, მალეც იდედებება და, მაშასადამე, კარაქი და დო ახალ ახალი იქმნება.

სოფლად ხშირად შეხვდებით მდინარის ნაპირას, ან წყაროსთან დედაკაცებს დიდის ქვაბითა და დაჭედეულის ჯოხებით. ესენი ანგარიშობენ, განრამდენი რძე ასესხა, რომელს დარჩა კუდნა, რომ ხანუდმა გადუხადოს. ეს სიტყვა კუდნა ზედ მიწევნით ნიშნავს რუსულს სიტყვას разность-ს.

ზემოდ მოყვანილს წერილში ხანუდობისა და მონარდეების გარდა მოყვანილია „ნაცვალ გარდა მუშაობა“, რომლის მნიშვნელობა არ ვიცი და არც სადმე გამიგონია; საჭირო კია გვიგოთ გაზეთის საშუალებით.

ჩვენებური (ბრეთული) ადალი იგივე არტელია. სოფლად მუშაობის დროს 10—30 და უფრო მეტი კაცი ადგენს ადალს და ერთმანეთს უკეთებენ საქმეს: მკიან, სთოხნიან, ბარვენ. ამ დროს ადალს უფრო კოოპერატიული მნიშვნელობა აქვს. ადალი იკურის მაშინაც, თუ გარეშე საქმეც გამოჩნდება. ადალი ირჩევს თავიანთ შორის ერთს ან ორს პირს და გზავნის საქმის ასადებად ღღიურად, ან ნარდად. მაგალითად, თუ რუა გასაყვანი, სახლის საძირკველია გათხრილი და ლამია ამოსაყრელი, ან ვენახია ჩასაბარი, ადალი ასრულებს საქმეს და აღებულს ფულს დანარჩომ ამხანაგებს ძმურად და თანაბრად უყოფს.

**ივანე ბაბლიშვილი.**

## უცხოეთი

**ამბოხება არაბეთში.**

ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, იემენში სამი დივიზია გაგზავნოს, ესე იგი 20,000 ჯარის კაცი. ჯარის მოგროვებას უკვე შეუდგნენ, მაგრამ საქმე ფერხდება იმით, რომ ბევრს ჯარის კაცს არა სურს ცხელ და უწყალო არაბეთში სამკვდროდ წავიდეს. იმ ოფიცრებს, რომელნიც იემენში წავლენ მეამბოხეთა დასამშვიდებლად, სამსახურში წარმატებას დაჰპირდნენ.

ამ რიგად ოსმალეთში ნამდვილი საომარი მზადებაა და ეს არც გასაკვირველია, რადგან ამ ჟამად მეამბოხეთა რიცხვი 35.000 კაცს აღემატება. უველა ესენი დიდად ურჩადნი და კუდადნი არიან და კარგად არიან შეჩვეულნი ტროპიულ სიცხეს. ადგილის მდებარეობა ხომ ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი. მათი სამხედრო ტაქტიკა ის არის, რომ მტერს უცებ თავს დაეცნენ და ისევ უცებ მთებში მიიმალნონ. ამის გარდა მეამბოხენი ბავშვობიდანვე კარგად არიან შეჩვეულნი ცხენზე ჯდომას, რაიც ბრძოლის დროს ერთს დიდს უპირატესობას აძლევს მათ ოსმალეთის გაწვრთნილ ჯარის წინაშე.

**ინგლისში.**

ლეიჩესტერში მუშათა პარტიის კონფერენცია პრეზიდენტის რობინზონის სიტყვით გაიხსნა. მან გამოაცხადა უკვე ის რეფორმები რომლის შემოღებაც უნდა მოითხოვონ მუშათა წარმომადგენლებმა პარლამენტში.

კონფერენციამ, სხვათ შორის დაადგინა, პროტესტი განაცხადოს იაპონელ სოციალისტების სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ.

ლონდონის სტამბების მუშებმა დაადგინეს, რვა საათის სამუშაო დღე მოითხოვონ. სტამბის მეპატრონეებმა დაადგინეს, ამ მოთხოვნილებაზე მუშებს საუოველთაო ლოკაუტით გასცენ პასუხი.

ნეაპოლიდან მიღებულ ცნობებით, იქ შეუპყრიათ „მხატვარი პეტრე“, რომელმაც ლონდონის ექსპროპრიაციაში მონაწილეობა მიიღო.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის ფურცლებზე ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ შემდეგი მოათავსოთ:

მდგომარე წლის 12 იანვარს ქუთაისის საზოგადო საკრებულო დარბაზში ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის ე. ნ. ხერხეულიძის თაოსნობით გაიმართა დრამატიულ-მუსიკალური საღამო ხსენებულ საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად. საღამომ ჩინებულად ჩაიარა და როგორც გამოირკვა საერთოდ შემოსულა 866 მან. 14 კაპ., ამას რომ გამოაკლოთ საღამოს მოწყობისათვის გაღებული ხარჯები 257 მან. 34 კაპ., წმინდა შემოსავალი დარჩება 608 მ. 60 კაპ. ამ მოკლე ხანში ხსენებული საზოგადოების გამგეობა შეუდგება შეგროვილი ფულების ღარიბ სტუდენტთა შორის განაწილებას. რომ თავიდან ავიცილოთ ის ლანძღვაგინება, რომლითაც ძალიან უხვად უმასპინძლდება ჩვენი ახალ-გაზდობა ამა თუ იმ ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას, უადგილო არ იქნება სტუდენტების ყურადღება მივაქციოთ იმ საოცარ მოვლენას, რომ ხშირად სტიპენდიების თუ ერთდროულ დახმარების „უსამართლო“ განაწილებაში სხვებზედ არა ნაკლები დანაშაული მიუძღვის, სამწუხაროდ, თვით სტუდენტობას.

ზოგიერთნი მათგანი განგებ ადასტურებენ სიღარიბეს, ნივთიერად უზრუნველყოფილი ამხანაგებისას, რითაც, ფულების განაწილების დროს, შეცდომაში შეჰყავთ საქველმოქმედო საზოგადოებები. რომ შემდეგში ამისთანა შემთხვევები არ გამეორდეს უმორჩილესად ვთხოვთ ქართველ სტუდენტებს მეტის გონიერებით მოეკიდნენ საქმეს და ისეთი პირები დაასახელონ ხოლმე, რომელნიც მართლა საჭიროებენ ქველ-მოქმედთა დახმარებას.

ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების მდივანი **ნესტორ ჩიქოვანი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო იმ პირთ, რომლებმაც პატივი მცეს და დახმარება აღმოუჩინეს ჩემდამი რწმუნებულ ცხინვალის პირველ-დაწყებითი სკოლის მოწაფეების 14 იანვარს შობის ხის გამართვაში.

დავშთები თქვენი პატივის-მცემელი **მარიამ დავითაშვილისა.**

## გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა.**

(დრო ტფილისის საათზეა ნაგარაუდევი)

**ტფილისიდან გადიან:**

**ბათუმისკენ:** საჩქარო მატ. N 5, დილ. 8 ს. 10 წ., გორში ჩადის 11 ს., მიხაილოვში 12 ს. 33 წ. დღისით.; რიონში—4 ს. 48 წ. დღ.; ბათუმში—ჩავა საღ. 9 ს. 20 წ. სამგზავრო N 3,—ნაშუადღ. 2 ს. 9 წ., გორში ჩადის 4 ს. 57 წ. ნასადილ.; მიხაილოვში—6 ს. 18 წ. საღ.; რიონში—10 ს. 59 წ. საღ.; ბათუმში ჩაღ.—4 ს. 28 წ. მეორე დილ. საჩქარო მატ. N 7, საღამ. 11 ს. 53 წ., გორში ჩადის ღამ. 2 ს. 29 წ. მიხაილოვში—ღამ. 3 ს. 53 წ., რიონში მეორე დღეს დილით—8 ს. 33 წ., ბათუმში ჩადის დღისით 1 ს. 26 წ.

**შერეული მატარ.** N 107, მე-4 კლასით—ღამის 1 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 3 ს. 51 წ., მიხაილოვში—მეორე დღეს დილით 6 ს. 51 წ., ბათუმში ჩადის—საღ. 8 ს. 33 წ.

**ბაქოსკენ:** N 2, სწრაფ.—დილ. 9 ს. 28 წ., ბაქოში ჩადის საღამოს 11 ს. 26 წ. **სახალხო მატ.** N 6, ნასადილევ 3 ს. 35 წ გადის. ბაქოში ჩადის მეორე დღეს დილ. 9 ს. 7 წ. **საფოსტო მატ.** N 4, გადის საღ. 10 ს. 25 წ., ბაქოში ჩადის მეორე დღეს ნაშუადღ. 5 ს. 21 წ.

**შერეული,** N 106, მე-4 კლასით, გადის დილ. 4 ს. 18 წ., ბაქოში ჩაღ. საღ. 5 ს. 21 წუთზე.

**ბორჯომისკენ:** საჩქარო N 9—66, ნაშუადღ 3 ს. 28 წ., ბორჯომში ჩადის საღამ. 9 ს. 8 წ.

**ჯულფისკენ:** სამგზავრო მატ. N 74—75, შუაღამ. 12 ს. 41 წ. გადის. ჯულფაში ჩადის მეორე დღეს. ღამის 1 ს. 5 წ.; ნარევი მატ. მე-4 კლასით დილ. 5 ს. 48 წ.

**ერევნისკენ:** საჩქ. მატ. N 78—79, გადის ნაშუადღ. 4 ს. 33 წ.

**ტფილისში მოდიან:**

**ბაქოდან:** N 6, სწრაფი საღ. 10 ს. 55 წ. საჩქარ. N 5, დილ. 7 ს. 25 წ. N 3, სამგზავრო ნაშუადღ. 1 ს. 9 წ., N 107, ნარევი მე-4 კლასით—შუაღღ. 12 ს. 1 წ.

**ბათუმიდან:** საჩქარო N 6, ნაშუადღ. 2 ს. 46 წ., სამგზავრო N 4, საღ. 9 ს. 25 წ. საჩქარო N 8, დილ, 8 ს. 45 წ. ნარევი N 106, მე-4 კლასით, ღამ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილით 6 ს. 36 წ.

**ერევნიდან:** საჩქრ-საქონ. N 80—81, საღ. 7 ს. 1 წ. ნარევი N 110—111 მე-4 კლასით საღ. 10 საათზე.

**ბორჯომიდან:** საჩქარო N 61—10, დილით 7 ს. 35 წ.

**შენიშვნა;** ნარევი მატარებლის მე-4 კლასის ვაგონებს NN 106, 107, 108, 109, 110 და 111 საჭიროებისა-დაგვარად მიაბამენ ზოგჯერ მატარებელს.


## განცხადებანი

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან

**გაიხსნა**

**მუხრანსკის ახალი კერძო**

## სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул. 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ნ. მ. ახპიახავა**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**კ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალმიკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიანი**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. **ა. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—5 (0—5—17)

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. პეტროსიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი:** 6—6 ს. საშვ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წამლობა

**კონსულტაციურად**

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

სპეციალური

## სამკურნალო

კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.

გოლოვინის ქ. N 9, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები **გ. ა. მელიქიანი და ი. მ. ზაბლუდოვსკი** 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა მიღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.

შეხვდის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წრთილი. (0—6—17)

◀ **მშობიარეთათვის** ▶

## თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., სავენიდ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—52)

**კ. თ ე ლ ა ვ ში**

**ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

## ჭრა-კერვის

● **წ ი გ ნ ი** ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. **ახალი მეთოდი.**

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა - შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: **Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.**

(100—336—13)

## ისყიდება სახლი

(განმარტოებით მდგარი)

ქუჩის კუთხეში, 8 ოთახიანი, ე: ი. 5 და 3 ოთ. ბანკის ვალი 4900 მანეთი აქვს, ზედმეტი წამატება მორიგებით. სახლი კარგ ჰავიან ადგილასაა და ტრამვაის მახლობლად. **სოლოლაკი, ამაღლების ქუჩა უკანასკნელი ალმართი № 2.** (2—419—1)

## ქალის ტანისამოსი 3 მან. 15 კაპ.

ვუგზავნი ფოსტით ფასდადებით, ჩინებულად შეკერილს, ზედა **ი უ ბ კ ა ს** მატყლისას, ახალ მოდისა. ტრიკოსას ყოველგვარის ფერისას. ფილაქნებითა და ყაითნით შემკულს, ხალათებს საზღვარ-გარეთელი ნამუშევარი, სახელოები და საყელო ფერადებით შემკული— ფასი 3 უბკა 3 მან. 15 კაპ. საუკეთესო ხარისხისა—3 მ. 75 კ. გასაგზავნს 45 კ. ვიღებთ. 3 იუბკასა და 3 ხალათის დაბარების დროს გასაგზავნს ფირმა კისრულობს. დაწუნებულს ფირმა უკანვე ღებულობს და ფულს უბრუნებს.

ადრესი: Суконно шерстяной мануфактуръ Лодзь № 18-я Мотцль 267s 8—31—3

## მშობიარეთა თავ შესაფარი

✦ **ბ ე ბ ი ა ქ ა ლ ი** ✦

## მ. ი. კრემერისა

**ნიკოლოზის ქ. სახ. № 47.**

მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელად—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგად უვლიან, საექიმო დახმარებას მუდამ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარეთათვის, რომელთაც საიდუმლოდ სურთ მოილოგინონ. პირობები საერთო პალატაში 2 მ. დღეღამეში, მშობიარობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავადმყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის 12½ 11½ საათამდე (100—276—15)

**ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

## საბუღალტერო კურსები

## ნ. ვ. აბრამიანისა.

სახელ. „ვაჭრობ. და ნავთის წარ. ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორი, რომელიც მოწონებულია ფინან. სამინისტრ. სამეცნ. განყოფილ. მიერ, როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

◀ **ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ** ▶

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ერთის თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუღალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს.

**კურსების მასწავლებლებად უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**

სწავლა დაიწყება 15 იანვარს 1911 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს, თხოვნები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად, კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22. ტელეფონი 744.

ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან ფასდადებით გამოიწერს— გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—292—13)




**მ ო ი თ ხ ო ვ ე თ**

## სწორე და მკვიდრი საათები!

**ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები ხამი სახურავით «ს ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ზმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის სიძსით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

| ПАРИЖЪ PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |
|---|---|

უფასოთ გვზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецъ N 53647). (34—15—27)


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ იუწყებს, რომ ამა წლის 4 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე, კ. ი. ზუბალაშვილის სახლობო სახლთან არსებულ ბუფეტის იჯარით გაცემაა დანიშნული. პირობების გაგება ყოველ საქმის დღეს შეიძლება გამგეობის კანცელარიაში 10—2 საათამდე. (3—1020—2)


ერთად-ერთი თევზეულობის სამწყობი ფირმების მრეწველობის

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძევზელოვების

● **მ ა ღ ა ზ ი ა ს** ●

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ **ახალ-ახალი** ✦

## ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა). ხიზილალა

ახალი (Зернистая).

◀ პარკისა და კოლოფებით ▶

## საუკეთესო დოშები და ზურგიელები

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. მირ**

აგრეთ მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—88)

ერთად-ერთი სამწყობი ფითთევის მრეწველობისა.

ხიზილალა წითელი (Кетовая) ხიზილალა